(გაითვალისწინეთ, რომ ქართული თარგმანი მოცემულია მხოლოდ ინფორმაციული მიზნებისთვის და არ გააჩნია იურიდიული ძალა)

მონაცემთა დამუშავების პოლიტიკა

ძალაში შესვლის თარიღი: 2021 წლის 1 თებერვალი

1. შესავალი

მონაცემთა დამუშავების ეს პოლიტიკა განმარტავს, როგორ აგროვებს, იყენებს, ამჟღავნებს, გადასცემს, ინახავს, ინარჩუნებს ან სხვაგვარად ამუშავებს DriveWealth LLC-ი (შემდგომში, DriveWealth, ან ჩვენ) თქვენს პერსონალურ მონაცემებს, რათა მოემსახუროს თქვენს ანგარიშს, რომელსაც DriveWealth-ი მართავს. მონაცემთა დამუშავების ეს პოლიტიკა, პერსონალური მონაცემების დამუშავების სახელმძღვანელო პრინციპებთან ერთად, წარმოადგენს მთლიან ჩარჩოს იმისა, თუ როგორ მუშავდება თქვენი პერსონალური მონაცემები DriveWealth-ში.

2. ინფორმაცია, რომელსაც ვაგროვებთ.

DriveWealth-ი თქვენგან შეაგროვებს პირად ინფორმაციას, რადგან შექმნას თქვენი ანგარიში აშშ-ის ფასიანი ქაღალდების კანონის შესაბამისად და დაადასტუროს თქვენი იდენტობა. ინფორმაცია, რომელსაც თქვენ შესახებ ვაგროვებთ, განსხვავდება ქვეყნების მიხედვით, საიდანაც ჩვენს სერვისებზე გაქვთ წვდომა, და ურთიერთობის მიხედვით, რომელიც დამყარებული გვაქვს თქვენს წარმდგენ ბროკერთან ან საინვესტიციო მრჩეველთან. იმისათვის, რომ შევქმნათ, ვმართოთ და მომსახურება გავუწიოთ თქვენს ანგარიშს DriveWealth-თან, ჩვენ გვაქვს უფლება, შევაგროვოთ შემდეგი ინფორმაცია:

- **პირადობის დამადასტურებელი ინფორმაცია.** თქვენი სრული იურიდიული სახელი; მისამართი; დაბადების თარიღი; გადასახადის გადამხდელის საიდენტიფიკაციო ნომერი, სოციალური დაცვის და ხელისუფლების მიერ გაცემული სხვა საიდენტიფიკაციო ნომერი.
- **ფინანსური ინფორმაცია.** სათანადო დაქვითვის და შეღავათების და გადასახადების დეკლარირების სტატუსის დადგენის მიზნით; არა აშშ-ის მომხმარებლების შემთხვევაში ჩვენ გვჭირდება ეს ინფორმაცია აშშ-ის საგადასახადო სამსახურის W-8BEN ფორმის შესავსებად.
- **ტრანზაქციის შესახებ ინფორმაცია.** მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, ჩვენ ვაწარმოებთ ოფიციალურ აღრიცხვას და ჩანაწერებს ყველა იმ ტრანზაქციაზე, რომლებიც ხორციელდება თქვენს ანგარიშზე, მათ შორის ვაჭრობებზე, დეპოზიტებზე და გატანაზე.
- **სხვა ინფორმაცია.** ზოგ შემთხვევაში ჩვენ შეიძლება მოვითხოვოთ დამატებითი ინფორმაცია, რათა სათანადო მომსახურება გავუწიოთ თქვენს ანგარიშს და/ან მოქმედი

კანონმდებლობის შესაბამისად გავუწიოთ მომსახურება თქვენს წარმდგენ ბროკერს ან საინვესტიციო მრჩეველს.

თქვენ შესახებ ინფორმაციას ჩვენ ასევე სხვადასხვა მიზნით ვაგროვებთ მესამე მხარე წყაროებიდან, მათ შორის, და არა მარტო, შემდეგი მიზნებით:

- **იდენტობის დადასტურების სერვისები.** DriveWealth-ი იყენებს მესამე მხარის მომსახურებას, რათა აშშ-ის რეგულაციების შესაბამისად მოახდინოს თქვენი იდენტობის სათანადო დადასტურება.
- **წარსული ინფორმაცია.** დადასტურების ჩვენი პროცედურების შემადგენელი ნაწილის სახით, ჩვენ გვაქვს უფლება, საჯაროდ ხელმისაწვდომი წყაროებიდან მოვიპოვოთ ადრე არსებული ინფორმაცია თქვენს შესახებ.

3. პერსონალური მონაცემები.

პერსონალური მონაცემები ნიშნავს ნებისმიერ ინფორმაციას, რომელიც შეიძლება ეხებოდეს იდენტიფიცირებულ ან იდენტიფიცირებად ფიზიკურ პირს (შემდგომში, მონაცემთა სუბიექტი). იდენტიფიცირებადი ფიზიკური პირი არის პირი, რომლის იდენტიფიცირება შეიძლება პირდაპირ ან ირიბად ისეთი მაიდენტიფიცირებელი მახასიათებლის მითითებით, როგორებიცაა სახელი, ადგილმდებარეობის მონაცემები, ტელეფონის ნომერი, ასაკი, სქესი, თანამშრომელი, სამუშაოს მაძიებელი, კლიენტები, მომწოდებლები და სხვა ბიზნესპარტნიორები. ეს ასევე მოიცავს პერსონალური მონაცემების საგანგებო კატეგორიებს (სენსიტიური პერსონალური მონაცემები) და კონფიდენციალურ ინფორმაციას, ანგარიშის ნომერს, საიდენტიფიკაციო ნომერს, ადგილმდებარეობის მონაცემებს, ონლაინ იდენტიფიცირების ნიშანს ან ერთ ან მეტ ფაქტორს, რომლებიც სპეციფიკურია ამ ფიზიკური პირის ფიზიკური, ფიზიოლოგიური, გენეტიკური, მენტალური, ეკონომიკური, კულტურული ანდა სოციალური იდენტობისთვის. მართალია, კომპანიასთან/ბიზნესთან დაკავშირებული ინფორმაცია არ ითვლება პერსონალურ მონაცემად, მაგარმა გთხოვთ, გაითვალისწინოთ, რომ ინფორმაცია, რომელიც ეხება კონტაქტებს ამ კომპანიების/ბიზნესების შიგნით, მაგალითად, სახელი, თანამდებობა, სამუშაო ელფოსტის მისამართი, სამუშაო ტელეფონის ნომერი და სხვა., პერსონალურ მონაცემებად ითვლება.

DriveWealth-ში არსებული თქვენი პერსონალური მონაცემები ქვემოთ ჩამოთვლილი ორი კატეგორიიდან ერთ-ერთ კატეგორიაში შედის:

- **1-ლი დონის პერსონალური მონაცემები.** პერსონალური მონაცემები, რომლებიც გამოიყენება ინდივიდების „იდენტიფიცირებისთვის“ და მოიცავს, სახელს, გვარს, დაბადების თარიღს, ხელისუფლების მიერ გაცემულ საიდენტიფიკაციო ნომერს (შემდგომში, პერსონალური საიდენტიფიკაციო ინფორმაცია).
- **მე-2 დონის პერსონალური მონაცემები.** ნებისმიერი პერსონალური მონაცემი, რომელიც გამოიყენება ინდივიდთან დასაკავშირებლად და მოიცავს ისეთ ინფორმაციას,

რომელიც სხვა პერსონალურ მონაცემებთან კომბინაციაში ლოგიკურად აკავშირებს ინდივიდს მის იდენტობასთან, როგორებიცაა მისამართი, დასაქმების შესახებ ინფორმაცია, ფინანსური ინფორმაცია, ტელეფონის ნომერი და ელფოსტის მისამართი.

თქვენი პერსონალური მონაცემების კატეგორიის მიუხედავად, ასეთი ინფორმაცია ყოველთვის იქნება:

- მონაცემთა სუბიექტის მიმართ კანონიერად, სამართლიანად და გამჭვირვალედ დამუშავებული;
- შეგროვილი კონკრეტული, მკაფიო და ლეგიტიმური მიზნებისთვის და დამუშავდება მხოლოდ ისე, როგორც შესაბამისია ამ მიზნებთან;
- ადეკვატური, რელევანტური და შემოფარგლული იმით, რაც საჭიროა იმ მიზნისთვის, რისთვისაც ის მუშავდება;
- ზუსტი და საჭიროების შემთხვევაში, განახლებული; ყველა საჭირო ნაბიჯი უნდა გადაიდგას, რომ მოხდეს იმ პერსონალური მონაცემების დაუყოვნებლივ წაშლა ან შესწორება, რომლებიც არასწორია იმ მიზნებთან მიმართებით, რისთვისაც მუშავდება;
- შენახული ისეთი ფორმით, რომელიც მონაცემთა სუბიექტების იდენტიფიცირების შესაძლებლობას იძლევა, და არა უმეტეს იმ დროის განმავლობაში, რამდენიც საჭიროა იმ მიზნებისთვის, რისთვისაც ეს პერსონალური მონაცემები მუშავდება;
- დამუშავებული ისეთი ფორმით, რომელიც უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების სათანადო უსაფრთხოებას, მათ შორის მათ დაცვას არაავტორიზებული ან უკანონო დამუშავებისგან და შემთხვევითი დაკარგვის, განადგურების ან დაზიანებისგან, შესაფერისი ტექნიკური და ორგანიზაციული ზომების გამოყენების მეშვეობით.

იმ შემთხვევაში, თუ რაიმე ცვლილებები მოხდა თქვენს პერსონალურ მონაცემებში, თქვენ უნდა დაუკავშირდეთ თქვენს წარმდგენ ბროკერს ან საინვესტიციო მრჩეველს. თქვენ ასევე შეგიძლიათ დაუკავშირდეთ DriveWealth-ის მონაცემთა დაცვის ოფიცერს, რათა სთხოვოთ მას იმ პერსონალური მონაცემების შესწორება, რომლებიც ადრე მოგვაწოდეთ. თუ თქვენ მოითხოვთ თქვენს ინფორმაციაში ცვლილების შეტანას, ჩვენ შესაძლოა დაგვჭირდეს თქვენი იდენტობის გადამოწმება, მათ შორის თქვენს წარმდგენ ბროკერთან ან საინვესტიციო მრჩეველთან დაკავშირების გზით.

4. როგორ იყენებს DriveWealth-ი პერსონალურ მონაცემებს.

თქვენს წარმდგენ ბროკერს ან საინვესტიციო მრჩეველს საკლირინგო ხელშეკრულება აქვს დადებული DriveWealth-თან. ამ ხელშეკრულების თანახმად, DriveWealth-ი იღებს პასუხისმგებლობას გარკვეული სპეციფიკური ფუნქციების შესრულებაზე, მათ შორის თქვენს ანგარიშზე ტრანზაქციების ანგარიშსწორებასა და კლირინგზე, საკასო ფუნქციების შესრულებაზე, მათ შორის თქვენი ანგარიშისთვის თანხების და ფასიანი ქაღალდების მიღებასა და მიწოდებაზე, თქვენს ანგარიშზე თანხების და ფასიანი ქაღალდების სათანადოდ

დაცვაზე და თქვენს ანგარიშთან დაკავშირებით საბუღალტრო აღრიცხვის და ჩანაწერების წარმოებაზე (შემდგომში, ერთობლივად, სერვისები). თქვენს პერსონალურ მონაცემებს DriveWealth-ი იყენებს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად სერვისების მოსაწოდებლად.

5. როგორ უზიარებს DriveWealth-ი პერსონალურ მონაცემებს.

DriveWealth-ს აქვს უფლება, გაუზიაროს თქვენი პერსონალური მონაცემები მასთან დაკავშირებულ ორგანიზაციებს და მესამე მხარე ვენდორებს. ასეთ შემთხვევებში DriveWealth-ი გაუზიარებს მათ ინფორმაციის მხოლოდ იმ მინიმალურ ოდენობას, რაც საჭიროა სერვისების მიწოდების, დაცვის და გაუმჯობესებისთვის.

პერსონალური მონაცემების (1-ლი დონე და მე-2 დონე) გაზიარება დაკავშირებული ორგანიზაციებისა და მესამე მხარე ვენდორებისთვის ხდება იმისთვის, რომ:

- დადასტურდეს თქვენი იდენტობა.
- მოხდეს თქვენს ანგარიშთან დაკავშირებით აღრიცხვისა და ჩანაწერების წარმოება.
- მომზადდეს წლიური საგადასახადო დოკუმენტაცია.

სერვისების მოწოდებისთვის DriveWealth-ს, რიგ შემთხვევებში, აქვს უფლება, გაუზიაროს მე-2 დონის თქვენი პერსონალური მონაცემები შემდეგ მესამე მხარეებს:

- მეორადი მონაცემთა ბაზის პროვაიდერებს, რომლებსაც DriveWealth-ი იყენებს გარკვეული საბროკერო სერვისების შესასრულებლად. მეორადი მონაცემთა ბაზის პროვაიდერები მოიცავს კომპიუტერული პროგრამისა და მონაცემთა ბაზის მომწოდებლებს, რომლებიც ინფორმაციის შესანახად გამოიყენება.
- გადახდის გადამოწმების პროვაიდერები, რომლებსაც DriveWealth-ი იყენებს დეპოზიტების და თანხების გატანის ქმედითობის დასადასტურებლად.
- კორპორატიული ქმედების სერვის პროვაიდერები, რომლებსაც DriveWealth-ი იყენებს ყველა იმ კორპორატიული ქმედების შესახებ შეტყობინების უზრუნველსაყოფად, რომლისთვისაც თქვენ ხართ კვალიფიცირებული. კორპორატიული ქმედებები მოიცავს კომუნიკაციებს, რომლებსაც შეიძლება ეკონომიკური გავლენა ჰქონდეს აქციონერის ანგარიშზე, მათ შორის მინდობილი პირის განცხადებებს, კენჭისყრას, ინფორმაციას ნებაყოფლობით და არანებაყოფლობით კორპორატიულ ქმედებებთან დაკავშირებით, სხვა სააქციონერო მასალებს.
- კომუნიკაციის ვენდორები (არა მარკეტინგთან დაკავშირებული), რომლებსაც DriveWealth-ი იყენებს იმ ინფორმაციის გაგზავნის ხელშესაწყობად, რომელიც ეხება თქვენ ანგარიშსა დაა ინვესტიციებს.

თქვენი პერსონალური მონაცემები ასევე ინახება Amazon Web Services-ში, რომელსაც DriveWealth-ი იყენებს როგორც მის მონაცემთა ბაზის მთავარ პროვაიდერს თქვენი ინფორმაციის დამუშავებისა და შენახვისთვის. მთელი ინფორმაცია Amazon Web Services-ში

დაცულია DriveWealth-ის საინფორმაციო უსაფრთხოების პროცედურებით, რაც იმას ნიშნავს, რომ ვერც ერთი ინდივიდი Amazon-ში ვერ ნახავს თქვენს პერსონალურ მონაცემებს.

6. რეკლამირება და მარკეტინგი.

DriveWealth-ი არ გააზიარებს თქვენს პერსონალურ მონაცემებს სარეკლამო ან ერთობლივი მარკეტინგული მიზნებისთვის. ჩვენ დაგიკავშირდებით მხოლოდ იმ შემთხვევებში, როდესაც ეს საჭიროა თქვენი ანგარიშის მომსახურებისთვის ანდა ამის გაკეთებას ჩვენგან მოქმედი კანონმდებლობა ითხოვს.

7. პერსონალური მონაცემების დამუშავების იურიდიული ბაზა.

პერსონალური მონაცემების დამუშავება მოითხოვს იურიდიულ საფუძველს. DriveWealth-ში პერსონალური მონაცემების დამუშავების ყველაზე გავრცელებული იურიდიული საფუძველი მოიცავს: (i) მონაცემთა სუბიექტისგან თანხმობას ერთი ან რამდენიმე კონკრეტული მიზნისთვის; (ii) კონტრაქტის შესრულებას, რომლის მხარეც არის მონაცემთა სუბიექტი; (iii) იურიდიული ვალდებულება ან მოთხოვნა; და (iv) ლეგიტიმური ინტერესები, რომელსაც DriveWealth-ი იცავს.

- **თანხმობა.** თუ კლიენტების, მომწოდებლების, სხვა ბიზნეს ურთიერთობების და თანამშრომლების შესახებ პერსონალური მონაცემების შეგროვება, რეგისტრაცია და შემდგომი დამუშავება ეფუძნება პირის თანხმობას მონაცემთა ასეთ დამუშავებაზე ერთი ან მეტი კონკრეტული მიზნისთვის, DriveWealth-მა უნდა შეძლოს იმის დემონსტრირება, რომ მონაცემთა სუბიექტი დაეთანხმა ასეთი პერსონალური მონაცემების დამუშავებას. თანხმობა თავისუფლად უნდა იქნეს გაცემული, უნდა იყოს კონკრეტული, ინფორმირებული და არაორაზროვანი. მონაცემთა სუბიექტი უნდა დაეთანხმოს პერსონალური მონაცემების დამუშავებას განცხადების ან მკაფიო დამადასტურებელი ქმედების გზით. თანხმობაზე თხოვნა უნდა წარდგენილი იქნეს ისეთი სახით, რომელიც მკაფიოდ გამოირჩევა სხვა საკითხებისგან, გასაგები და ადვილად ხელმისაწვდომი ფორმით და მკაფიო და მარტივი ენის გამოყენებით. სპეციალური კატეგორიის პერსონალური მონაცემების (სენსიტიური პერსონალური მონაცემების) დამუშავებისთვის, თანხმობა ასევე უნდა იყოს მკაფიო. მონაცემთა სუბიექტს აქვს უფლება, ნებისმიერ დროს გაიწვიოს თავისი თანხმობა და ასეთი გაწვევის შემდეგ ჩვენ შევწყვეტთ ასეთი პირის შესახებ პერსონალური მონაცემების შეგროვებას ან დამუშავებას, თუ ჩვენ არა გვაქვს ვალდებულება ან უფლება, გავაგრძელოთ ამის კეთება სხვა იურიდიული საფუძვლით.

- **აუცილებელია კონტრაქტის შესასრულებლად.** ლეგიტიმური იქნება პერსონალური მონაცემების შეგროვება და დამუშავება, რომელიც უკავშირდება იმ კონტრაქტის შესრულებას, რომლის მხარეც არის მონაცემთა სუბიექტი ანდა იმისთვის, რომ კონტრაქტის გაფორმებამდე გადაიდგას ნაბიჯები მონაცემთა სუბიექტის თხოვნით. ეს

ეხება ყველა საკონტრაქტო ვალდებულებას და შეთანხმებას, რომელიც გაფორმებულია DriveWealth-თან, მათ შორის წინასაკონტრაქტო ფაზას, დამოუკიდებლად იმისა, წარმატებული იქნება მოლაპარაკება კონტრაქტზე თუ არა.

- **იურიდიულ ვალდებულებასთან შესაბამისობა.** DriveWealth-ი შესაბამისობაში უნდა იყოს სხვადასხვა იურიდიულ ვალდებულებასა და მოთხოვნასთან. DriveWealth-ის ასეთი იურიდიული ვალდებულება შეიძლება იყოს საკმარისი ლეგიტიმური საფუძველი პერსონალური მონაცემების დამუშავებისთვის. „პერსონალური მონაცემების დაცვის ზოგადი რეგლამენტის" რეგულაციების შესაბამისად, DriveWealth-ი უნდა ასევე შესაბამისობაში იყოს აშშ-ის ფასიანი ქაღალდების შესახებ და ფინანსების შესახებ კანონმდებლობასთან, როგორიცაა კანონი „საბანკო საიდუმლოების შესახებ". ასეთი იურიდიული ვალდებულებები მოიცავს ვალდებულებას, შეგროვდეს, დარეგისტრირდეს და/ან ხელმისაწვდომი გახდეს გარკვეული ტიპის ინფორმაცია თანამშრომლების, კლიენტების და სხვათა შესახებ. ასეთი იურიდიული მოთხოვნები ჩვენთვის წარმოადგენს იურიდიულ საფუძველს, დავამუშაოთ პერსონალური მონაცემები, მაგრამ მნიშვნელოვანია აღინიშნოს, განსაზღვრავს თუ არა ის დებულებები, რომლებიც DriveWealth-ს აძლევს უფლებას ან ავალდებულებს, რომ დაამუშაოს გარკვეული პერსონალური მონაცემები, მოთხოვნებს მათი შენახვის, გამჟღავნების და წაშლის თაობაზე.

- **ლეგიტიმური ინტერესები.** მონაცემები დამუშავდება მხოლოდ მაშინ, როდესაც ეს აუცილებელია DriveWealth-ის ლეგიტიმური ინტერესების დაცვის მიზნით და მონაცემთა სუბიექტის ინტერესები არ არის უპირატესი DriveWealth-ის ინტერესებთან ან ფუნდამენტურ უფლებებთან შედარებით. როცა გადაწყვეტს, დაამუშაოს მონაცემები, DriveWealth-ი დარწმუნდება, რომ ლეგიტიმური ინტერესები უპირატესია ინდივიდის უფლებებსა და თავისუფლებებთან შედარებით და მათი დამუშავება არ გამოიწვევს გაუმართლებელ ზიანს. მაგალითად, DriveWealth-ის ლეგიტიმური ინტერესია, დაამუშაოს პოტენციური მომხმარებლის პერსონალური მონაცემები, რათა გადაამოწმოს მისი იდენტობა. მონაცემთა სუბიექტს უნდა მიეწოდოს ინფორმაცია კონკრეტული ლეგიტიმური ინტერესის შესახებ, თუ მონაცემთა დამუშავების საფუძველს ეს დებულება წარმოადგენს.

8. პერსონალური მონაცემების დამუშავება და გადაცემა.

- **DriveWealth-ი, როგორც მონაცემთა კონტროლიორი.** DriveWealth-ი ჩაითვლება მონაცემთა კონტროლიორად იმ შემთხვევაში, თუ ჩვენ გადავწყვეტთ, რა საშუალებებით უნდა დამუშავდეს მონაცემთა სუბიექტის პერსონალური მონაცემები, მაგალითად, როდესაც მონაცემთა სუბიექტი DriveWealth-თან აფორმებს ხელშეკრულებას მომსახურებაზე (შემდგომში, ანგარიშის ხელშეკრულება).

- **მონაცემთა დამმუშავებლების გამოყენება.** გარე „მონაცემთა დამმუშავებელი“ არის კომპანია, რომელიც ამუშავებს პერსონალურ მონაცემებს DriveWealth-ისთვის და DriveWealth-ის მითითებების შესაბამისად, მაგალითად, ადამიანური რესურსების სისტემებთან დაკავშირებული კომპანიები, საინფორმაციო ტექნოლოგიების პროვაიდერი მესამე მხარეები, სხვა. როდესაც DriveWealth-ი ქვეკონტრაქტით გადასცემს მონაცემთა დამმუშავებელს პერსონალური მონაცემების დამუშავების ფუნქციას, DriveWealth-ი უზრუნველყოფს, რომ ეს კომპანია, სულ ცოტა, იმავე ხარისხით იცავდეს მონაცემებს, როგორც DriveWealth-ი.

- **მონაცემთა დამუშავების ხელშეკრულებები.** სანამ მონაცემთა დამმუშავებელს გადასცემს პერსონალურ მონაცემებს, DriveWealth-ი მონაცემთა დამმუშავებელთან წერილობით გააფორმებს მონაცემთა დამუშავების ხელშეკრულებას. მონაცემთა დამუშავების ხელშეკრულება უზრუნველყოფს, რომ DriveWealth-ი აკონტროლებს პერსონალური მონაცემების იმ დამუშავებას, რომელიც DriveWealth-ის ფარგლებს გარეთ ხდება და რაზეც DriveWealth-ია პასუხისმგებელი.

- **პერსონალური მონაცემების გამჟღავნება.** თუ მონაცემთა დამმუშავებელი/ქვე-მონაცემთა დამმუშავებელი მდებარეობს ევროკავშირის/ევროპის ეკონომიკური ზონის ფარგლებს გარეთ, მოქმედებს შემდეგი მოთხოვნები. პერსონალური მონაცემების სხვებისთვის გამჟღავნებამდე, DriveWealth-ი პასუხისმგებელია, გაითვალისწინოს, არის თუ არა მიმღები დაქირავებული ჩვენ მიერ. გარდა ამისა, ჩვენ შეგვიძლია გავაზიაროთ პერსონალური მონაცემები DriveWealth-ის შიგნით მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არსებობს ბიზნესის ლეგიტიმური მიზანი ასეთ გამჟღავნებაში. DriveWealth-ი პასუხისმგებელია, დარწმუნდეს, რომ მიმღებს ლეგიტიმური ინტერესი აქვს პერსონალური მონაცემების მიღებისთვის და დარწმუნდეს, რომ პერსონალური მონაცემების გაზიარება შეზღუდულია და მინიმუმამდეა დაყვანილი. DriveWealth-მა სიფრთხილე უნდა გამოიჩინოს DriveWealth-ის გარეთ არსებულ პირებთან, მონაცემთა სუბიექტებთან ან ორგანიზაციებთან მიმართებით. პერსონალური მონაცემები გამჟღავნებული უნდა იქნეს მხოლოდ იმ მესამე მხარეებისთვის, რომლებიც ასრულებენ მონაცემთა ინდივიდუალური კონტროლიორების ფუნქციას, თუ ასეთი გადაცემის ლეგიტიმური მიზანი არსებობს. თუ მიმღები მესამე მხარე მდებარეობს ევროკავშირის/ევროპის ეკონომიკური ზონის ფარგლებს გარეთ ისეთი ქვეყანაში, რომელიც არ უზრუნველყოფს მონაცემთა დაცვის სათანადო დონეს, გადაცემა შეიძლება შესრულდეს, თუ გადაცემის ხელშეკრულება დადებულია DriveWealth-სა და ამ მესამე მხარეს შორის. გადაცემის ხელშეკრულება უნდა ემყარებოდეს ევროკავშირის სტანდარტულ სახელშეკრულებო პირობებს.

9. მონაცემთა სუბიექტების უფლებები

როდესაც DriveWealth-ი აგროვებს და არეგისტრირებს პერსონალურ მონაცემებს მონაცემთა სუბიექტებზე, DriveWealth-ი ვალდებულია, ასეთ პირებს აცნობოს:

- დამუშავების მიზნები, რისთვისაც პერსონალური მონაცემები გამოიყენება და ასევე, ასეთი დამუშავების იურიდიული საფუძველი;
- იმ პერსონალური მონაცემების კატეგორიები, რომლებსაც ეს ეხება;
- ლეგიტიმური ინტერესები, რომლებსაც DriveWealth-ი იცავს, თუ დამუშავება ინტერესების დაბალანსების საფუძველზე ხდება;
- პერსონალური მონაცემების მიმღებები ან მიმღებთა კატეგორიები, ასეთის არსებობის შემთხვევაში;
- საჭიროებისამებრ, ფაქტი, რომ DriveWealth-ი აპირებს პერსონალური მონაცემების გადაცემას მესამე მხარისთვის და ასევე, ასეთი გადაცემის იურიდიული საფუძველი;
- პერიოდი, რომლის დროსაც პერსონალური მონაცემები შენახული იქნება, ან თუ ეს შეუძლებელია, ასეთი პერიოდის განსაზღვრის კრიტერიუმები;
- უფლების არსებობა, მოითხოვოს DriveWealth-სგან მონაცემთა სუბიექტთან დაკავშირებულ პერსონალურ მონაცემებზე წვდომა და მათი შესწორება ან წაშლა ანდა დამუშავების შეზღუდვა ან დამუშავებაზე უარის თქმა, ასევე უფლება მონაცემთა გადატანაზე;
- როდესაც დამუშავება ეფუძნება მონაცემთა სუბიექტის თანხმობას, უფლების არსებობა, ნებისმიერ დროს გამოიწვიოს თანხმობა ისეთი დამუშავების კანონიერების შეულახავად, რომელიც ეფუძნებოდა თანხმობას, რომელიც მიცემული იყო ასეთი თანხმობის გამოწვევამდე;
- უფლება, სათანადო პროცედურის გამოყენებით შეიტანოს საჩივარი DriveWealth-ში, ანდა რომელიმე საზედამხედველო ორგანოში;
- არის თუ არა პერსონალური მონაცემების მიწოდება საკანონმდებლო თუ საკონტრაქტო მოთხოვნა, ანდა აუცილებელი მოთხოვნა კონტრაქტის დასადებად, ასევე, არის თუ არა მონაცემთა სუბიექტი ვალდებული, მიაწოდოს პერსონალური მონაცემები, და ის შესაძლო შედეგები, რაც ასეთი მონაცემთა მიუწოდებლობას მოჰყვება; და
- ავტომატიზებული გადაწყვეტილების მიღების არსებობა, მათ შორის პროფილის შედგენა, და გასაგები ინფორმაცია ასეთის ქმედების ლოგიკაზე, ასევე მონაცემთა სუბიექტისთვის ასეთი დამუშავების მნიშვნელობა და გათვალისწინებული შედეგები.

ეს ინფორმაცია უმეტეს შემთხვევებში მიწოდებული იქნება პირადი შეტყობინების გზით [DriveWealth-ის ვებგვერდის მთავარ გვერდზე](#).

ნებისმიერ პირს, რომლის პერსონალურ მონაცემებსაც DriveWealth-ი ამუშავებს, მათ შორის, და არა მარტო, DriveWealth-ის თანამშრომლებს, DriveWealth-ში მუშაობის დაწყების მსურველებს, გარე მომწოდებლებს, კლიენტებს, ბიზნესპარტნიორებს და ა.შ., აქვს უფლება, მოითხოვოს იმ პერსონალურ მონაცემებთან წვდომა, რომლებსაც DriveWealth-ი ამუშავებს ან ინახავს მის შესახებ.

- თუ DriveWealth-ი ამუშავებს ან ინახავს პერსონალურ მონაცემებს მონაცემთა სუბიექტის შესახებ, მონაცემთა სუბიექტს აქვს უფლება, ჰქონდეს წვდომა პერსონალურ

მონაცემებთან და იცოდეს მიზეზები, რისთვისაც მონაცემები მუშავდება იმ კრიტერიუმებთან დაკავშირებით, რომლებიც ამ მუხლშია განსაზღვრული.

- მონაცემთა სუბიექტს აქვს უფლება, DriveWealth-ისგან მოითხოვოს, უმიზეზო დაგვიანების გარეშე, მის შესახებ არსებული არასწორი პერსონალურ მონაცემების შესწორება.
- მონაცემთა სუბიექტს აქვს უფლება, მოითხოვოს DriveWealth-სგან მასთან დაკავშირებული პერსონალური მონაცემების წაშლა და DriveWealth-ი ვალდებულია, წაშალოს პერსონალური მონაცემები უმიზეზო დაგვიანების გარეშე, თუ კანონით არ არის მოთხოვნილი რაიმე ინფორმაციის განსაზღვრული დროის პერიოდით შენარჩუნება, მაგალითად, ფინანსური მარეგულირებლების ან საგადასახადო ორგანოების მიერ.
- მონაცემთა სუბიექტს აქვს უფლება, მოითხოვოს DriveWealth-სგან დამუშავების შეზღუდვა, თუ შესაძლებელია.
- მონაცემთა სუბიექტს აქვს უფლება, მიიღოს პერსონალური მონაცემები, რომელიც რეგისტრირებულია სტრუქტურირებული, ჩვეულებრივ გამოყენებული და ელექტრონულად წაკითხვადი ფორმატით, თუ შესაძლებელია.
- მონაცემთა სუბიექტს აქვს უფლება, ნებისმიერ დროს, თავისი კონკრეტული სიტუაციის საფუძველზე, უარი თქვას მასთან დაკავშირებული პერსონალური მონაცემების დამუშავებაზე, რომელიც ინტერესების დაბალანსებას, მათ შორის პროფილის შედგენას ეფუძნება.
- ამ მუხლში განსაზღვრული უფლებების გამოყენებაზე მონაცემთა სუბიექტისგან მიღებულ ნებისმიერ მოთხოვნას პასუხი უნდა გაეცეს შეძლებისდაგვარად სწრაფად და ასეთი მოთხოვნის მიღებიდან არა უგვიანეს 30 დღისა. მოთხოვნები დაუყოვნებლივ უნდა გადაეგზავნოს DriveWealth-ის სერვის ცენტრს. ასეთი მოთხოვნის დამუშავებაში სერვის ცენტრს დაეხმარება DriveWealth-ის მონაცემთა დაცვის ოფიცერი, რათა პასუხი გაცემული იქნეს განსაზღვრულ ვადაში.

10. პერსონალურ მონაცემთა საპროექტო დაცვა და პერსონალურ მონაცემთა ავტომატური დაცვა

ახალი პროდუქტები. ახალი პროდუქტები, სერვისები, ტექნიკური გადაწყვეტები და ა.შ. უნდა შემუშავდეს ისე, რომ დააკმაყოფილოს მონაცემთა საპროექტო და ავტომატური დაცვის პრინციპები. მონაცემთა საპროექტო დაცვა გულისხმობს, რომ ახალი პროდუქტების ან სერვისების დაპროექტებისას სათანადო ყურადღება ეთმობა მონაცემთა დაცვის საშუალებების მათში ინტეგრირებას.

- DriveWealth-ი მხედველობაში მიიღებს დამუშავების ტექნოლოგიურ მოწინავეობას, განხორციელების ხარჯსა და ხასიათს, მასშტაბს, კონტექსტსა და მიზნებს, ასევე სხვადასხვა ალბათობისა და სიმძიმის რისკებს, რომლებსაც ეს დამუშავება უქმნის ფიზიკური პირის უფლებებსა და თავისუფლებებს.
- საშუალების განსაზღვრის დროსაც და თავად დამუშავების დროსაც DriveWealth-ი მიიღებს სათანადო ტექნიკურ და ორგანიზაციულ ზომებს, როგორებიცაა

ფსევდონიმიზაცია, რომლებიც შემუშავებულია იმისთვის, რომ ეფექტიანად განხორციელდეს მონაცემთა დაცვის ისეთი პრინციპების, როგორიცაა მონაცემთა მინიმიზაცია, და მოხდეს აუცილებელი დაცვის გარანტიების ინტეგრირება დამუშავებაში, რათა შესრულდეს მონაცემთა დაცვის მოთხოვნები და დაცული იქნეს მონაცემთა სუბიექტების უფლებები.

მონაცემთა ავტომატური დაცვა. მონაცემთა ავტომატური დაცვა მოითხოვს, განხორციელდეს მონაცემების მინიმიზების რელევანტური მეთოდები.

- DriveWealth-ი მიიღებს სათანადო ტექნიკურ და ორგანიზაციულ ზომებს, რათა უზრუნველყოს, რომ ავტომატურად დამუშავდეს მხოლოდ ის პერსონალური მონაცემები, რომლებიც აუცილებელია დამუშავების ყოველი კონკრეტული მიზნისთვის.
- მინიმიზების ეს მოთხოვნა ეხება შეგროვილი პერსონალური მონაცემების მოცულობას, მათი დამუშავების მასშტაბს, მათი შენახვის პერიოდს და მათ ხელმისაწვდომობას.
- ასეთი ზომები უზრუნველყოფს, რომ პერსონალური მონაცემები ავტომატურად არ არის ხელმისაწვდომი დეტალური განხილვის გარეშე.

11. სტატისტიკური მონაცემები.

გარკვეულ შემთხვევებში, DriveWealth-ს, მასთან დაკავშირებულ ორგანიზაციებს, მის ვენდორებს, ლიცენზიის გამცემებს და აგენტებს აქვთ უფლება, შეაგროვონ ანონიმური, სტატისტიკური მონაცემები თქვენი ანგარიშის ან სავაჭრო აქტივობის შესახებ, მათ შორის მოიპოვოს ინფორმაცია ტეგების და სხვა საშუალებების გამოყენებით. თქვენ ეთანხმებით, რომ ჩვენ შეგვიძლია ამ მონაცემების გამოყენება ჩვენი სერვისების გაუმჯობესების მიზნებისთვის და ასევე, ჩვენი ბიზნესის სხვა მიზნებისთვის.

12. დამუშავების აქტივობების აღრიცხვა.

DriveWealth-ი, როგორც მონაცემთა კონტროლიორი, აწარმოებს დამუშავების აქტივობების აღრიცხვას, რომლებიც DriveWealth-ის პასუხისმგებლობაში შედის. ჩანაწერები მოიცავს შემდეგ ინფორმაციას:

- ანგარიშის მფლობელის სახელი, გვარი და საკონტაქტო მონაცემები;
- დამუშავების მიზანი;
- მონაცემთა სუბიექტების კატეგორიები და პერსონალური მონაცემების კატეგორიების აღწერა;
- მიმღებები, ვისთვისაც პერსონალური მონაცემები იქნა ან იქნება გამჟღავნებული, მათ შორის მიმღები მესამე მხარეები ან საერთაშორისო ორგანიზაციები;

- საჭიროებისამებრ, პერსონალური მონაცემების გადაცემა მესამე ქვეყნისთვის, მათ შორის ამ მესამე ქვეყნის იდენტიფიკაცია და, თუ რელევანტურია, შესაბამისი დაცვის საშუალებების დოკუმენტაცია;
- სადაც შესაძლებელია, გათვალისწინებული დროის ლიმიტები სხვადასხვა კატეგორიის მონაცემთა წასაშლელად; და
- სადაც შესაძლებელია, უსაფრთხოების გამოყენებული ტექნიკური და ორგანიზაციული ზომების ზოგადი აღწერა.

DriveWealth-ი ხელმისაწვდომს გახდის ამ ჩანაწერებს მონაცემთა დაცვის შესაბამისი ორგანოებისთვის ამ უკანასკნელთა მხრიდან მოთხოვნის შემთხვევაში.

13. პერსონალური მონაცემების წაშლა.

პერსონალური მონაცემები წაიშლება, თუ DriveWealth-ს აღარ აქვს პერსონალური მონაცემების უწყვეტი დამუშავების ან შენახვის ლეგიტიმური მიზანი ანდა აღარ არის სავალდებულო პერსონალური მონაცემების შენახვა მოქმედი საკანონმდებლო ნორმების თანახმად. პერსონალური მონაცემების სხვადასხვა კატეგორიასთან დაკავშირებულ მონაცემთა შენახვის პერიოდები განსაზღვრულია DriveWealth-ის „მონაცემთა შენახვის და ინფორმაციის გაზიარების“ პოლიტიკაში.

14. რისკების შეფასება.

თუ DriveWealth-ი ამუშავებს პერსონალურ მონაცემებს, რომლებიც დიდი ალბათობით შეუქმნის მაღალ რისკს იმ პირებს, რომელთა პერსონალური მონაცემებიც მუშავდება, უნდა ჩატარდეს მონაცემთა დაცვის ზეგავლენის შეფასება. მონაცემთა დაცვის ზეგავლენის შეფასება ნიშნავს, რომ DriveWealth-ი, დამუშავების ხასიათის, მასშტაბის, კონტექსტისა და მიზნების, ასევე იმ რისკების სხვადასხვა ალბათობის და სიმძიმის გათვალისწინებით, რომლებსაც ეს დამუშავება ფიზიკური პირების უფლებებსა და თავისუფლებებს უქმნის, მიიღებს შესაბამის ტექნიკურ და ორგანიზაციულ ზომებს, რათა უზრუნველყოს და შეძლოს დემონსტრირება, რომ დამუშავება ხორციელდება მონაცემთა დაცვის მოთხოვნების შესაბამისად. ტექნიკური და ორგანიზაციული ზომების გადასინჯვა და განახლება უნდა მოხდეს საჭიროებისამებრ, მაგრამ არა უგვიანეს ყოველი 6 თვისა. დამტკიცებული ქცევის კოდექსების ანდა დამტკიცებული სერტიფიცირების მექანიზმების შესრულება შეიძლება გამოყენებული იქნეს როგორც ერთ-ერთი ელემენტი, რომელიც გამოიყენება ამ მუხლით გათვალისწინებულ შესაფერის ტექნიკურ და ორგანიზაციულ ზომებთან შესაბამისობის დემონსტრირებისთვის.

15. ეროვნული მოთხოვნები.

DriveWealth-მა უნდა დაიცვას როგორც „პერსონალური მონაცემების დაცვის ზოგადი რეგლამენტი“, ასევე მონაცემთა დაცვის ეროვნული კანონმდებლობა. თუ მოქმედი ეროვნული კანონმდებლობა მოითხოვს პერსონალური მონაცემების უფრო მაღალი დონის დაცვას, მაშინ

ასეთი პოლიტიკა/სახელმძღვანელო მითითებები, ასეთი უფრო მკაცრი მოთხოვნები შესრულებული უნდა იქნეს. თუ DriveWealth-ის პოლიტიკა/სახელმძღვანელო მითითებები უფრო მკაცრია, ვიდრე ადგილობრივი კანონმდებლობა, უნდა შესრულდეს ჩვენი პოლიტიკა/სახელმძღვანელო მითითებები.

16. უსაფრთხოება.

თქვენ აცნობიერებთ, რომ ჩვენ არ შეგვიძლია თქვენი პერსონალური მონაცემების გადაცემის და შენახვის აბსოლუტური უსაფრთხოების გარანტირება, რადგან ინტერნეტი არ არის აბსოლუტურად გარანტირებული სივრცე; თუმცა, ჩვენ უამრავ ნაბიჯს ვდგამთ, რომ უზრუნველვყოთ შესაბამისი ტექნიკური და ორგანიზაციული ზომები, რათა მონაცემთა დაცვის მაღალი დონე გვქონდეს და მაქსიმალურად უსაფრთხოდ შევინახოთ თქვენი პერსონალური მონაცემები.

DriveWealth-მა მიიღო მონაცემთა შიდა და გარე დაცვის სტრატეგიები, რომლებიც DriveWealth-ის თანამშრომლებმა უნდა შეასრულონ. გარდა ამისა, DriveWealth-ი მოახდენს მონაცემთა დაცვის სტრატეგიებთან და მონაცემთა დაცვის მოქმედ საკანონმდებლო მოთხოვნებთან, მათ შორის „პერსონალური მონაცემების დაცვის ზოგად რეგლამენტთან“ შიდა შესაბამისობის მონიტორინგს, აუდიტს და დოკუმენტირებას. DriveWealth-ი ასევე მიიღებს საჭირო ზომებს მონაცემთა დაცვის მოთხოვნებთან შესაბამისობის გასაძლიერებლად ორგანიზაციის შიგნით. ეს ზომები მოიცავს დამუშავების ოპერაციებში მონაწილე თანამშრომლებისთვის პასუხისმგებლობების განაწილებას, მათი ცნობიერების ამაღლებას და ტრენინგს. გთხოვთ, გაითვალისწინოთ, რომ მონაცემთა დამუშავების ეს პოლიტიკა დროდადრო გადაიხედება ახალი ვალდებულებების გათვალისწინებისთვის და ნებისმიერი პერსონალური მონაცემი, რომელიც ჩვენთან ინახება, დარეგულირდება ყველაზე უახლეს პოლიტიკით.

17. ცვლილებები წინამდებარე მონაცემთა დამუშავების პოლიტიკაში.

DriveWealth-ს შეუძლია პერიოდულად შეიტანოს ცვლილებები წინამდებარე მონაცემთა დამუშავების პოლიტიკაში, ამ პოლიტიკის განახლებული ვერსიის საჯარო ინფორმაციის ბიბლიოთეკაში გამოქვეყნების და ძალაში შესვლის განახლების გზით. განახლებული ვერსია ამოქმედდება განახლებული „ძალაში შესვლის“ დღიდან. DriveWealth-ი დროულად შეგატყობინებთ, თუ რაიმე მნიშვნელოვანი ცვლილებები იქნა შეტანილი მონაცემთა დამუშავების ჩვენს პოლიტიკაში და გაცნობებთ, როგორ ვაგროვებთ, ვიყენებთ, ვამჟღავნებთ, გადაგვაქვს, ვინახავთ, ვინარჩუნებთ ან სხვაგვარად ვამუშავებთ თქვენს პერსონალურ მონაცემებს სერვისების შესრულების დროს. თუ არ ეთანხმებით რომელიმე ასეთ ცვლილებას, შეგიძლიათ დაგვიკავშირდეთ ანგარიშის დასახურად. ძალაში შესვლის თარიღის შემდეგ ჩვენი მომსახურების გამოყენების გაგრძელება ჩაითვლება თქვენს თანხმობად მონაცემთა დამუშავების პოლიტიკაში შეტანილ ნებისმიერ ცვლილებაზე. მონაცემთა დამუშავების

პოლიტიკის არსებული ვერსია ხელმისაწვდომია შემდეგ ვებგვერდზე: https://drivewealth.com/privacy-policy.

18. კონტაქტი.

თუ გაქვთ კითხვები წინამდებარე მონაცემთა დამუშავების პოლიტიკის შინაარსთან დაკავშირებით, ანდა ფიქრობთ, რომ არ ვიცავთ თქვენს პერსონალურ მონაცემებს წინამდებარე მონაცემთა დამუშავების პოლიტიკის შესაბამისად და გსურთ საჩივრის შემოტანა, გთხოვთ, დაუკავშირდეთ DriveWealth-ის მონაცემთა დაცვის ოფიცერს ელფოსტის შემდეგ მისამართზე: privacy@drivewealth.com. ჩვენ შეიძლება მოგთხოვოთ დამატებითი ინფორმაციის მოწოდება თქვენს საჩივართან დაკავშირებით, რათა სათანადოდ გამოვიძიოთ და გადავჭრათ თქვენი პრობლემა. გაითვალისწინეთ, რომ ნებისმიერი ჩვენ მიერ მოთხოვნილი ინფორმაცია და თქვენთან კომუნიკაცია შეიძლება დარჩეს ჩვენთან როგორც ჩვენი ჩანაწერების შემადგენელი ნაწილი; ყველა ჩანაწერი კონფიდენციალური იქნება და ნებისმიერი პერსონალური მონაცემი შენახული იქნება წინამდებარე მონაცემთა დამუშავების პოლიტიკის შესაბამისად. მონაცემთა დამუშავების საჩივრებთან დაკავშირებით ევროპელ მომხმარებლებს ასევე შეუძლიათ დაუკავშირდნენ დანიის მონაცემთა დაცვის სააგენტოს.

19. განსაზღვრები.

დაკავშირებული ორგანიზაციები - კომპანიები, რომლებიც ერთმანეთთან დაკავშირებულია საერთო საკუთრებით ან კონტროლით. ეს შეიძლება იყოს ფინანსური ან არაფინანსური კომპანიები. DriveWealth-ის დაკავშირებული ორგანიზაციები მოიცავს DriveWealth Technologies LLC-s.

დაუკავშირებელი ორგანიზაციები - კომპანიები, რომლებიც ერთმანეთთან არ არიან დაკავშირებული საერთო საკუთრებით ან კონტროლით. ეს შეიძლება იყოს ფინანსური ან არაფინანსური კომპანიები. DriveWealth-ი არ უზიარებს პერსონალურ მონაცემებს დაუკავშირებელ ორგანიზაციებს ისე, რომ მათ თქვენთან ივაჭრონ. [შემოგთავაზონ]

ერთობლივი მარკეტინგი - ოფიციალური შეთანხმება დაუკავშირებელ ფინანსურ კომპანიებს შორის, რომლითაც ერთობლივად ხდება ფინანსური პროდუქტების ან სერვისების მარკეტინგი. DriveWealth-ი არ იყენებს თქვენს პერსონალურ მონაცემებს ერთობლივი მარკეტინგის მიზნებისთვის.

20. სხვა მნიშვნელოვანი ინფორმაცია.

ნევადის მოსახლეობისთვის. ამ შეტყობინებას გაწვდით შტატის კანონმდებლობის შესაბამისად. თქვენ შეგიძლიათ ჩაეწეროთ ჩვენს „არ დარეკო სიაში“ შემდეგ ნომერზე დარეკვის მეშვეობით: 800-326-7141. ნევადის კანონმდებლობა ასევე მოითხოვს, რომ მოგაწოდოთ შემდეგი საკონტაქტო ინფორმაცია: მომხმარებელთა დაცვის ბიურო, ნევადის

გენერალური პროკურორის ოფისი, 555 E. ვაშინგტონის ქუჩა., ოთახი 3900, ლას ვეგასი, NV 89101; ტელეფონის ნომერი - 702-486-3132; ელფოსტა: BCPINFO@ag.state.nv.us.

ვერმონტის მოსახლეობისთვის. ვერმონტის კანონმდებლობის შესაბამისად, ჩვენ არ გავუზიარებთ ვერმონტის მცხოვრებთა შესახებ ჩვენ მიერ შეგროვილ ინფორმაციას იმ კომპანიებს, რომლებიც დაუკავშირებელი ორგანიზაციები არიან გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც კანონით არის დაშვებული, როგორიცაა თქვენი თანხმობის შემთხვევაში ან თქვენი ანგარიშების მომსახურებისთვის. ჩვენ არ გავუზიარებთ ინფორმაციას თქვენი კრედიტუნარიანობის შესახებ ჩვენთან დაკავშირებულ ორგანიზაციებს თქვენი ნებართვის ან თანხმობის გარეშე, მაგრამ ჩვენ გვაქვს უფლება, თქვენი ნებართვის გარეშე გავუზიაროთ ჩვენთან დაკავშირებულ ორგანიზაციებს ინფორმაცია თქვენთან განხორციელებული ტრანზაქციების ან თქვენთან ურთიერთობის გამოცდილების შესახებ.

კალიფორნიის მოსახლეობისთვის. კალიფორნიის კანონმდებლობის შესაბამისად, ჩვენ არ გავუზიარებთ თქვენ შესახებ შეგროვილ ინფორმაციას იმ კომპანიებს, რომლებიც დაუკავშირებელი ორგანიზაციები არიან, გარდა კანონით ნებადართული შემთხვევებისა. მაგალითად, ჩვენ შეგვიძლია გავაზიაროთ ინფორმაცია თქვენი თანხმობით ან თქვენი ანგარიშების მომსახურებისთვის. ჩვენთან დაკავშირებულ ორგანიზაციებთან ინფორმაციის გაზიარებას შევზღუდავთ იმ ხარისხით, როგორც ამას კალიფორნიის კანონმდებლობა მოითხოვს.